განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება

ბიზნესის ადმინისტრირების
სადოქტორო პროგრამა

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება

კავკასიის საერთაშორისო
უნივერსიტეტი

შეფასების
განხორციელების
თარიღი - 05.07.2019

დასკვნის წარდგენის
თარიღი 22.07.2019

თბილისი, 2019
წლის ივლისი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

უსდ-ს სახელწოდება	**შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი**
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	**შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება**
ინსტიტუციის ტიპი	**უნივერსიტეტი**
საიდენტიფიკაციო ნომერი	**201951637**

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	**ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამა**
განათლების საფეხური	**დოქტორანტურა**
სწავლების ენა	**ქართული**
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	**ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი**
მიმართულება	**ბიზნესის ადმინისტრირება**
დარგი	
ქვე-დარგი	
კვალიფიკაციის კოდი	**02**
კრედიტების რაოდენობა	**180**
პროგრამის განხორციელების ადგილი (ქუჩა, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, კამპუსი, საფოსტო ინდექსი, ქვეყანა)	**თბილისი, ნაძალადევის რაიონი, ჩარგლის ქუჩა # 73, ბლოკი N1** **0141** **საქართველო**
პროგრამის სტატუსი (ახალი, ავტორიზებული/აკრედიტებული)	**ახალი**
იმ შემთხვევაში თუ პროგრამა ავტორიზებული ან აკრედიტებულია, გთხოვთ მიუთითეთ გადაწყვეტილების ნომერი და თარიღი	
აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	პროფესორი მ. აბდულ რაუფი უიტენბორგის უნივერსიტეტი, აპელდორნი, ნიდერლანდები
წევრი (სახელი და გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	პროფ. თამარ მაღალაშვილი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო
წევრი (სახელი და გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ბ-ნი ირაკლი გაბრიაძე (სტუდენტი წევრი) დოქტორანტი, ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი,

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**
  ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამა წარმოადგენს უმაღლესი განათლების მესამე საფეხურის პროგრამას და მისი მიზანია, მოამზადოს მკვლევარი მეცნიერები, რომლებსაც ექნებათ სიღრმისეული თეორიული ცოდნა და კვლევის ჩატარებისათვის საჭირო მეთოდოლოგიური უნარ-ჩვევები. სადოქტორო პროგრამა ორიენტირებულია მოამზადოს კურსდამთავრებული, რომელსაც ექნება კვლევის დამოუკიდებლად დაგეგმვისა და ჩატარების, ახალი ცოდნის შექმნის უნარი და განივითარებს პედაგოგიურ და ცოდნის გადაცემის საუკეთესო უნარებს. ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამა შედგება 180 ECTS კრედიტისაგან და მისი ხანგრძლივობა 3 წელია. პროგრამის კურსდამთავრებული მიიღებს ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორის აკადემიურ ხარისხს.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

  ამ აკრედიტაციისათვის შერჩეულმა ექსპერტთა ჯგუფმა ადგილზე ვიზიტი კავკასიის უნივერსიტეტში განახორციელა პარასკევს, 2019 წლის 5 ივლისს მის ძირითად კამპუსში, რომელიც თბილისის ჩრდილოეთ ნაწილში მდებარეობს. ვიზიტამდე, ექსპერტთა ჯგუფს (აბდულ რაუფს, თამარ მაღალაშვილს და ირაკლი გაბრიაძეს) თვითშეფასების ანგარიშის განსახილველად და ვიზიტისათვის საკითხების მოსამზადებლად ჰქონდათ შეხვედრა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში. ექსპერტთა ჯგუფმა განსაზღვრა ყველა მნიშვნელოვანი და აუცილებელი ასპექტი და შეკითხვები, რომლებიც გამოვიყენეთ ინტერვიუს დროს და დაგვეხმარა აკრედიტაციის სტანდარტებთან პროგრამის შესაბამისობის დადგენაში. საჭირო ინფორმაცია და შესაბამისი დოკუმენტები მომზადებული იყო უსდ-ს მიერ და ვიზიტამდე მიეწოდა ექსპერტთა ჯგუფს შესასწავლად. ექსპერტთა ჯგუფმა მიიღო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში (განათლების ხარისხის ეროვნული ცენტრის მიერ ინგლისურად ნათარგმნი), პროგრამის აღწერის დოკუმენტი, თანდართული დეტალური სადოქტორო პროგრამის სილაბუსებით, დოკუმენტები უნივერსიტეტის მომსახურებების და აკადემიური რეგულირებების შესახებ, მათ შორის ხარისხის უზრუნველყოფაზე, უნივერსიტეტის წესდება და სხვ. ხელშეკრულებები საერთაშორისო პარტნიორებთან, აკადემიური და არააკადემიური პერსონალის პირადი საქმეები და სხვა შესაბამისი დოკუმენტაცია, ასევე, მიეწოდა ექსპერტთა ჯგუფს განსახილველად.

  5 ივლისს ექსპერტთა ჯგუფმა დილაადრიან 9:00 საათისათვის დაიწყო მუშაობა. ადგილზე

ვიზიტის შეთანხმებული დღის წესრიგის თანახმად ჩვენ გვქონდა შეხვედრა უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, თვითშეფასების გუნდთან, სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ/მოწვეულ პერსონალთან, ბიზნესის ადმინისტრირების წინა სადოქტორო პროგრამის კურსდამთავრებულებთან და პერსპექტიული დამსაქმებლების წარმომადგენლებთან. ჩვენ, ასევე, გვქონდა ტური დაწესებულების ობიექტებზე, ბიბლიოთეკაში, აუდიტორიებში, დოქტორანტთა სამუშაო ადგილებზე და ა.შ. ადგილზე ვიზიტი დასრულდა შეუფერხებლად დასახული დღის წესრიგის და განრიგის მიხედვით. უსდ-ს მხრიდან ყველა მონაწილე მზად იყო თანამშრომლობისა და დისკუსიებში ღიად და ნაყოფიერად მონაწილეობისათვის. ვიზიტის პერიოდში ექსპერტთა ჯგუფის მოთხოვნები დამატებითი ინფორმაციის მოწოდების თაობაზე დაკმაყოფილდა პროფესიონალურად.

აკრედიტაციის ვიზიტი იყო კარგად ორგანიზებული. ადგილზე ვიზიტი იყო ნაყოფიერი და მან მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ჯგუფის მიერ პროგრამის შეფასებისათვის აუცილებელი ცოდნის გაღრმავებაში. ექსპერტთა ჯგუფს სურს გულითადი მადლობა გადაუხადოს ყველა მონაწილეს მასპინძლობისა და თანამშრომლობისათვის, ასევე ნაყოფიერ დისკუსიებში მონაწილეობის მიღებისათვის.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

სადოქტორო პროგრამის შეფასების საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფმა დაასკვნა, რომ პროგრამა შესაბამისობაშია სტანდარტებთან. პროგრამა შესაბამისობაშია მე-3 და მე-4 სტანდარტების მოთხოვნებთან, ხოლო მეტწილად შესაბამისობაშია 1-ლი, მე-2 და მე-5 სტანდარტების მოთხოვნებთან.

- **რეკომენდაციები**

პროგრამის სწავლის შედეგების რეფორმულირება იმის უზრუნველსაყოფად, რომ ისინი იყოს ზუსტი და პირდაპირ უკავშირდებოდეს პროგრამის სწავლის შედეგებს;

ექსპერტთა ჯგუფი ვერ დარწმუნდა, რომ თითოეული კურსის ყველა სწავლის შედეგი შეფასებულია სადოქტორო პროგრამისათვის შესაბამისი კარგად შერჩეული შეფასების მეთოდით. ამ თვალსაზრისით მხოლოდ ფართო აღწერილობაა წარმოდგენილი, მაგრამ რაიმე კონკრეტული ან ზუსტი ინფორმაცია ამ ასპექტის შესაფასებლად სათანადო დასაბუთებით არ არის მოცემული.

ექსპერტთა ჯგუფმა ვერ შეძლო ისეთი აუცილებელი დეტალების მოძიება, როგორიცაა კურსების დაკავშირება პროგრამის სწავლის შედეგებთან, ვერტიკალური და ჰორიზონტალური კავშირი, ინტეგრირება კურსებს შორის და სწავლის შედეგების/შერჩეული კურსების შინაარსისა და შერჩეული შეფასებების რაციონალურობა ან დასაბუთება. მნიშვნელოვანია, რომ ეს აუხსნათ განსაკუთრებით დოქტორანტებს, რათა შეძლონ პროგრამაში საკუთარი პროგრესის დასაწყისიდან დასრულებამდე გაგება.

მინიმალური საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესახებ არაა განმარტებული - ვის მიერ არის მინიჭებული - ეროვნული თუ საერთაშორისო ინსტიტუციების მიერ? ადგილზე ვიზიტისას, ასევე, გაუგებარი დარჩა საკმარისია თუ არა მაგისტრის ხარისხი თუნდაც აღმასრულებელ განათლებაში (Executive Education), ან ხელოვნების მაგისტრისა (MA) ყოველგვარი აქცენტის გარეშე სამეცნიერო კვლევაზე, თუ აპლიკანტს უნდა ჰქონდეს მეცნიერების მაგისტრის ხარისხი (MSc) ან ფილოსოფიის მაგისტრის (MPhil) ხარისხი შესაბამის სფეროში? უმჯობესი იქნებოდა ამის დაზუსტება.

რეკომენდებულია, რომ დაშვების მოთხოვნები მოიცავდეს სოციალური მეცნიერებების კვლევის მეთოდების უნარების წინასწარ შეფასებას, კერძოდ, რაოდენობრივი და/ან თვისებრივი მონაცემების ანალიზის ტექნიკას, რაც გადამწყვეტია ამ სადოქტორო პროგრამის ნებისმიერი პოტენციური კანდიდატის კვლევითი უნარების შეფასებაში.

სწავლების მეთოდების დაკავშირების უზრუნველყოფა სწავლის შედეგებთან.

სწავლების მეთოდებით, სილაბუსებში დადგენილი მიზნების მიღწევის უზრუნველყოფა.

სწავლების ეფექტიანობის გაზომვა და თვალყურის მიდევნება, ცდილობენ თუ არა ლექტორები დანერგონ ცოდნა, რომელიც შეიძინეს ხარისხის უზრუნველყოფის ერთეულის მიერ განხორციელებული ტრენინგის პროცესში.

თანამედროვე მეთოდების მნიშვნელობის განსაზღვრა და ასახვა სილაბუსებში.

პროგრამის საერთო ეფექტიანობის გაზომვის მექანიზმის შემუშავება.

პროგრამაში ჩართული პერსონალისათვის რეგულარული, როგორც პოზიტიური, ისე ნეგატიური, უკუკავშირის მიწოდების სისტემის შემუშავება.

დოკუმენტში "ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და მათი ეფექტიანობის შეფასება" დამატებულ იქნეს ანალიტიკური ნაწილი.

ნაშრომის ხელმძღვანელის შეცვლის სისტემის შემუშავება.

მეტი ყურადღება დაეთმოს პროგრამაში ჩართულ ადმინისტრაციული პერსონალის

ხარისხის კონტროლის.

სტუდენტის მიერ ხელმძღვანელის შეფასებისათვის კითხვარის შემუშავება.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

თვითშეფასების ანგარიშის თანახმად "უნივერსიტეტს აქვს ქვეყანასა და რეგიონში ლიდერად გახდომის დიდი პოტენციალი, ბიზნესის ადმინისტრირების სფეროში, კვალიფიციური სტრატეგების მომზადებაში". ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ ეს ძალზე ამბიციურია, მის მისაღწევად გამართული სამუშაო გეგმის არსებობის გარეშე. უმჯობესი იქნებოდა კონკრეტული პერსპექტიული საერთაშორისო დამსაქმებლების მიზნობრივი მონიშვნა და ადგილობრივი და საერთაშორისო პერსპექტიული დამსაქმებლებისათვის ზუსტი კრიტერიუმების მოძიება, რათა ამ პროგრამის საფუძველზე უკეთ იქნეს უზრუნველყოფილი/განვითარებული აუცილებელი და რელევანტური სამეცნიერო და კვლევითი კომპეტენციები და უნარები. მიზანშეწონილი იქნებოდა ნათლად აგვეხსნა, რომელია კონკრეტული თანამედროვე/ ინოვაციური მეთოდები, რომლებიც განასხვავებენ ამ პროგრამას სხვა კონკურენტული/მსგავსი პროგრამებისგან.

პროგრამის მიზნებში არაა მითითებული ინფორმაცია ან ასპექტები დაკავშირებული ეთიკურ სტანდარტებთან ან აკადემიურ კეთილსინდისიერებასთან, რომელთა

გათვალისწინების უგულებელყოფა თითქმის შეუძლებელია თანამედროვე სამეცნიერო კვლევაში.

ექსპერტთა ჯგუფმა დაადგინა, რომ უსდ-მ უნდა შეიმუშაოს სტრუქტურირებული გზით სწავლის შედეგების შეფასების სისტემა, რათა აკრედიტაციის სრული ციკლისთვის შექმნან შესაძლო მომავალი გაუმჯობესებების ნუსხა. შესაძლო შეფასება შესაძლებელია ჩატარდეს ყოველწლიურად (სადოქტორო დისერტაციის დაცვის მსვლელობაში), რათა დადგინდეს თუ რამდენად აქვს კურსდამთავრებულს მოცული სწავლის შედეგები და რა შეიძლება გაკეთდეს პროგრამის სრულყოფისათვის. შეფასების ამ პროცესს შეუძლია მოგვაწოდოს აუცილებელი ინფორმაცია პროგრამის შემდგომი განვითარებისათვის მიმდინარე პროცესების საფუძველზე.

პირველი სწავლის შედეგის "ბიზნესის ადმინისტრირებაში უახლესი მიღწევების თეორიული და კვლევაზე დაფუძნებული ფუნდამენტური ცოდნა, რაც აძლევს არსებული ცოდნის გაფართოებისა და ინოვაციური მეთოდების გამოყენების საშუალებას" თაობაზე: იგი მოითხოვს უფრო მეტ სიზუსტეს. მაგალითად, "ბიზნესის ადმინისტრირებაში უახლესი მიღწევების ფუნდამენტური ცოდნა" ფართოა და შეიძლება მისი სხვადასხვანაირად ინტერპრეტაცია. ექსპერტთა ჯგუფმა წარმოდგენილ დოკუმენტებში ან ადგილზე ვიზიტისას დისკუსიებში ვერ შეძლო "ინოვაციური მეთოდების" რაიმე კონკრეტული განმარტების მოძიება. ბიზნესის ადმინისტრირების ფარგლები, ასევე, არაა განსაზღვრული სადოქტორო პროგრამისათვის, რათა დადგინდეს - რას ფარავს იგი და რას არა. აშკარა საჭიროებაა სწავლის შედეგების უფრო დაკონკრეტებისა და სპეციალიზებისა ბიზნესის ადმინისტრირების სფეროს მკაფიო შემუშავებით.

მეორე სწავლის შედეგის "დარგში სამეცნიერო კვლევისა და სწავლების თანამედროვე მეთოდების ცოდნა" თაობაზე: კარგი იქნებოდა ბოლოში შესაბამისი დარგის დამატება.

მესამე სწავლის შედეგის "სამეცნიერო საქმიანობის მართვის თეორიული ფა პრაქტიკული ცოდნა" თაობაზე: უკეთესი იქნებოდა სამეცნიერო საქმიანობის ნაცვლად სოციალური მეცნიერების ან ბიზნესის/მენეჯმენტის სამეცნიერო კვლევითი აქტივობის მითითება.

სწავლის შედეგების მესამე კატეგორიის პირველი ნაწილის "შეიმუშაოს ახალი კვლევითი და ანალიტიკური მეთოდები და მიდგომები, რომლებიც ორიენტირებული იქნება ახალი ცოდნის შექმნასა და საერთაშორისო რეფერირებად პუბლიკაციებში ასახვაზე" თანახმად: გაუგებარია თუ რა იგულისხმება აქ ახალი ცოდნის განვითარებასა და ანალიტიკურ მიდგომებში, რადგან შესაძლოა დოქტორანტურის უმეტესმა კურსდამთავრებულმა ვერ მიაღწიოს ეფექტიანად სწავლის ამ შედეგს.

სწავლის შედეგების მესამე კატეგორიის მეორე ნაწილის "ინოვაციური კვლევის დამოუკიდებლად დაგეგმვა, განხორციელება და ხელმძღვანელობა" თაობაზე - უკეთესი იქნებოდა "ინოვაციურის" ნაცვლად "სამეცნიეროს" მითითება, რადგან არაა მკაფიოდ დაზუსტებული თუ რას ნიშნავს "ინოვაციური".

სასურველია გარკვეული საერთაშორისო სამიზნე ნიშნულების სტანდარტის დადგენა პერსონალის შერჩევისათვის, განსაკუთრებით სადოქტორო პროგრამისაზე.

ბიუჯეტი უნდა ითვალისწინებდეს ნებისმიერი საერთაშორისო აკადემიური პერსონალის გაცვლით პროგრამას და ხელს უნდა უწყობდეს უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის დაკავშირებას სხვა ცნობილ კვლევით დაწესებულებებთან.

- საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)

- განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

  არ ეხება

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამის მიზნებია მკვლევართა მომზადება, რომლებსაც ექნებათ ბიზნესისა და მენეჯმენტის სფეროში კვლევების განხორციელებისათვის საჭირო სიღრმისეული თეორიული ცოდნა და მეთოდოლოგიური უნარები. სადოქტორო პროგრამა ორიენტირებულია მოამზადოს მომავალი მკვლევარები, რომელთაც ექნებათ სამეცნიერო კვლევის დამოუკიდებლად დაგეგმვისა და ჩატარების, ახალი ცოდნის შექმნის უნარი შესაბამის დარგში და განავითაროს დოქტორანტებში გამოსადეგი პედაგოგიური და ცოდნის გადაცემის უნარები. კსუ-ს ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამის მიზნები როგორც ჩანს შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, რომელიც ქმნის თანამედროვე სწავლისა და სამეცნიერო გარემოს ინოვაციური მეთოდების, ისევე, როგორც კულტურათაშორისი განათლებისა და მრავალფეროვანი საუნივერსიტეტო ცხოვრების მეშვეობით, რომელიც ერთგულია როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო დასაქმების ბაზარების დემოკრატიული ფასეულობებისადმი. პროგრამის მიზნები გამოიყურება მკაფიოდ და მიღწევადად. პროგრამის მიზნები ითვალისწინებენ ადგილობრივი და საერთაშორისო ბაზრების მოთხოვნებს. ბაზრის კვლევამ და პერსპექტიულ დამსაქმებლებთან ინტერვიუებმა აჩვენა ამ სფეროს კვალიფიციურ კურსდამთავრებულთა საჭიროება, განსაკუთრებით საქართველოს მზარდი ეკონომიკისთვის, რაც მკაფიოდ გამოვლინდა ადგილზე ვიზიტისას პერსპექტიულ დამსაქმებლებთან დისკუსიების მსვლელობაში. თუმცა, პერსპექტიული დამსაქმებლები არ აღმოჩნდნენ გათვითცნობიერებულნი პროფესიულ სფეროში საჭირო კონკრეტული კომპეტენციების, უნარებისა და სამუშაო ადგილების მოთხოვნების თაობაზე. თუმცა, ქართული განათლების სექტორისათვის აკადემიური პერსონალის საჭიროება აშკარაა. პროგრამის მიზნები რეალისტური და მიღწევადია და განსაზღვრავს ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების კომპლექტს, რომელსაც პროგრამა მიზნად ისახავს რომ განავითაროს სტუდენტებში. მიუხედავად ამისა, ბუნდოვანია თუ როგორ შეიტანს წვლილს ეს პროგრამა დარგისა და საზოგადოების განვითარებაში რაიმე განსაკუთრებული გზით, საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ მოქმედი სხვა ანალოგიური პროგრამებისაგან განსხვავებით. პროგრამის მიზნები თავსებადია უსდ-ს მისიასთან, მიზნებსა და სტრატეგიასთან. ისინი ითვალისწინებენ ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნებს და საერთაშორისო შრომის

ბაზრის ტენდენციებს მეცნიერებასა და კვლევებში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის წესდება;
- ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამა;
- ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამის სილაბუსები;

  კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები, შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- თვითშეფასების ანგარიშის თანახმად "უნივერსიტეტს აქვს ქვეყანასა და რეგიონში ლიდერად გახდომის დიდი პოტენციალი, ბიზნესის ადმინისტრირების სფეროში, კვალიფიციური სტრატეგების მომზადებაში". ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ ეს ძალზე ამბიციურია, ამის მისაღწევად გამართული სამუშაო გეგმის არსებობის გარეშე. უმჯობესი იქნებოდა კონკრეტული პერსპექტიული საერთაშორისო დამსაქმებლების მიზნობრივი მონიშვნა და ადგილობრივი და საერთაშორისო პერსპექტიული დამსაქმებლებისათვის ზუსტი კრიტერიუმების მოძიება, რათა ამ პროგრამის საფუძველზე უკეთ იქნეს უზრუნველყოფილი/განვითარებული აუცილებელი და რელევანტური სამეცნიერო და კვლევითი კომპეტენციები და უნარები. მიზანშეწონილი იქნებოდა ნათლად აგვეხსნა, რომელია კონკრეტული თანამედროვე/ ინოვაციური მეთოდები, რომლებიც განასხვავებენ ამ პროგრამას სხვა კონკურენტული/მსგავსი პროგრამებისგან.
- პროგრამის მიზნებში არაა მითითებული ინფორმაცია ან ასპექტები დაკავშირებული ეთიკურ სტანდარტებთან ან აკადემიურ კეთილსინდისიერებასთან, რომელთა გათვალისწინების უგულებელყოფა თითქმის შეუძლებელია თანამედროვე სამეცნიერო კვლევაში.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ შეესაბამება მოთხოვნებს

1.2. პროგრამის სწავლის შედეგები
➢ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას; ➢ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს; ➢ პროგრამის სწავლის შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უსდ-ს განსაზღვრული აქვს პროგრამის სწავლის შედეგები შემდეგ სამ კატეგორიაში: **პროგრამის კურსდამთავრებულს ექნება:** ➢ ბიზნესის ადმინისტრირებაში უახლესი მიღწევების თეორიული და კვლევაზე დაფუძნებული ფუნდამენტური ცოდნა, რაც აძლევს არსებული ცოდნის გაფართოებისა და ინოვაციური მეთოდების გამოყენების საშუალებას. ➢ დარგში სამეცნიერო კვლევისა და სწავლების თანამედროვე მეთოდების ცოდნა. ➢ სამეცნიერო საქმიანობის მართვის თეორიული და პრაქტიკული ცოდნა. **კურსდამთავრებული გააცნობიერებს:** ➢ კვლევის კრიტიკული ანალიზისა და სამეცნიერო მიდგომების როლსა და მის მნიშვნელობას ბიზნესის ადმინისტრირების თანამედროვე პრინციპების და ფუნქციური მოდელების გაუმჯობესებისათვის მუშაობაში. **პროგრამის კურსდამთავრებულს შეუძლია:** ➢ შეიმუშაოს ახალი კვლევითი და ანალიტიკური მეთოდები და მიდგომები, რომლებიც ორიენტირებული იქნება ახალი ცოდნის შექმნასა და საერთაშორისო რეფერირებად პუბლიკაციებში ასახვაზე; ➢ დამოუკიდებლად დაგეგმოს, განახორციელოს და უხელმძღვანელოს ინოვაციურ კვლევებს; ➢ გააანალიზოს მიღწევები ბიზნესის ადმინისტრირების სფეროში და შეიმუშაოს პრაქტიკული ღონისძიებები კომპანიაში ანალიზის შედეგების დასანერგად, შესთავაზოს და განახორციელოს ახალი, ეფექტიანი წინადადებები; ➢ ჩაერთოს დარგში მიმდინარე სამეცნიერო დისკუსიებში და წარმართოს თეორიულ-გამოყენებითი კვლევა; ➢ მოამზადოს და ასწავლოს კურსები ბიზნესის ადმინისტრირებაში. პროგრამის სწავლის შედეგები მკაფიოდ და გასაგები ფორმითაა წარმოდგენილი მიზნობრივ სამეცნიერო-კვლევით სფეროსთან კავშირში. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა წარმოდგენილი ცხრილები და კურიკულუმის რუკები, რომლებშიც პროგრამის კურიკულუმი და სილაბუსები დაკავშირებულია პროგრამის სწავლის შედეგებთან და ასევე, შეისწავლის და განიხილავს კავშირს პროგრამის საბოლოო მიზნებთან. მენეჯმენტთან დისკუსიებიდან, თვითშეფასების ანგარიშის შემმუშავებელ გუნდთან, სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელთან და აკადემიურ პერსონალთან, კურსების მასალებისა და ყველა სახის შეფასებების შესწავლიდან, ექსპერტთა ჯგუფმა დაასკვნა, რომ

ზოგადად, სწავლის შედეგები შეესაბამება სფეროს სპეციფიური კომპეტენციების მიზნებსა და დუბლინის აღმწერებს (Dublin Descriptors). მიუხედავად ამისა, გაუგებარია თუ რატომ აქვთ დაყოფა ამ სამ კატეგორიად და რა კრიტერიუმებით და საჭიროებით ისარგებლეს ამ დაყოფის გაკეთებისას. მიუხედავად იმისა, რომ სადოქტორო პროგრამის ზოგიერთი სწავლის შედეგი არაა აღწერილი ზუსტად, ექსპერტთა ჯგუფი ასკვნის, რომ პროგრამის აღწერილი სწავლის შედეგები შეესაბამება აკადემიურ მოთხოვნებსა და კვალიფიკაციის საჭირო დონეს, რომელიც მიენიჭება პროგრამის დასრულებისას და ბიზნესის ადმინისტრირების სფეროში მუშაობისთვის.

პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის მიზნებს და ფოკუსირდება ყოვლისმომცველ ცოდნაზე, უნარებსა და/ან პასუხისმგებლობის გრძნობასა და ავტონომიურობაზე, რომლებიც განსაზღვრულია პროგრამის შინაარსით. ზოგიერთი მათგანი ძნელი გასაზომია და/ან არარეალისტურად გამოიყურება, სავარაუდოდ მათი ჟღერადობის გამო. ძნელი დასადგენია თავსებადია ისინი თუ არა განათლების შესაბამის დონესთან ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით და მისანიჭებელი კვალიფიკაციით - დუბლინის აღმწერებთან (Dublin Descriptors). პროგრამის სწავლის შედეგები ეყრდნობა ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს საფუძველზე შემუშავებულ დარგის მიზნობრივ ნიშნულებს. ეს სწავლის შედეგები, როგორც ჩანს, შეესაბამება პროგრამის კურსდამთავრებულთა დასაქმების მოთხოვნებს, დარგის მახასიათებლებსა და შრომის ბაზრის მოთხოვნებს. ეს სწავლის შედეგები შემუშავებულია შესაბამისი პროგრამის დიდი ოდენობით დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობით (აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები და სხვ.).

წარმოდგენილი დოკუმენტებისა და თვითშეფასების ანგარიშში წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, გაუგებარია თუ არსებობს რაიმე კონკრეტული სისტემა სწავლის შედეგების შესაფასებლად, რომელიც პირდაპირ და არაპირდაპირ შეაფასებს პროგრამის სწავლის შედეგებს, გარდა ზოგადი ხარისხის უზრუნველყოფისა.

პროგრამის სწავლის შედეგები შეფასდება თანმიმდევრულად რეგულარულ საფუძველზე, რათა უზრუნველყოს კურსდამთავრებულის მიერ აღწერილი სწავლის შედეგების მიღწევა. შეფასების ამგვარმა სისტემამ უნდა გაითვალისწინოს შემოთავაზებული დარგის თავისებურებები, რათა გააცნობიეროს, თუ რამდენად აღწევენ სტუდენტები პროგრამის სწავლის შედეგებს. მიუხედავად ამისა, ჯგუფმა ვერ შეძლო რაიმე კონკრეტული ინფორმაციის მოძიება პროგრამის პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, სტუდენტის სწავლის შედეგების ჩამოყალიბების, შეფასებისა და ანალიზის კუთხით. ასევე გაუგებარია, მიიღებენ თუ არა სტუდენტები რაიმე უკუკავშირს იმის გასაცნობიერებლად თუ რამდენად აქვთ მათ მიღწეული პროგრამის სწავლის შედეგები, რადგან ეს იქნებოდა ძალიან გამოსადეგი იმის გასათვალისწინებლად თუ კერძოდ რა ზომები იქნება მისაღები ამ მხრივ რაიმე ხარვეზის არსებობის შემთხვევაში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამის კურიკულუმი;
- ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამის სილაბუსები;
- პროგრამის სწავლის შედეგები;

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- პროგრამის მიზნები:
- შრომის ბაზრის კვლევა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი;
- დოკუმენტები, რომლებიც მოწმობენ პროგრამის დაინტერესებული მხარეების; ჩართულობაზე პროგრამის სწავლის შედეგების დაწესებაში;
- ვებ-საიტი;
  ვიზიტი და ინტერვიუების შედეგები.

რეკომენდაციები:

- პროგრამის სწავლის შედეგების რეფორმულირება იმის უზრუნველსაყოფად, რომ ისინი იყოს ზუსტი და პირდაპირ უკავშირდებოდეს სტუდენტთა სწავლის შედეგებს;

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- ექსპერტთა ჯგუფმა დაადგინა, რომ უსდ-მ უნდა შეიმუშაოს სტრუქტურირებული გზით სწავლის შედეგების შეფასების სისტემა, რათა აკრედიტაციის სრული ციკლისთვის შექმნან შესაძლო მომავალი გაუმჯობესებების ნუსხა. შესაძლო შეფასება შესაძლებელია ჩატარდეს ყოველწლიურად (სადოქტორო დისერტაციის დაცვის მსვლელობაში), რათა დადგინდეს თუ რამდენად აქვს კურსდამთავრებულს მოცული სწავლის შედეგები და რა შეიძლება გაკეთდეს პროგრამის სრულყოფისათვის. შეფასების ამ პროცესს შეუძლია მოგვაწოდოს აუცილებელი ინფორმაცია პროგრამის შემდგომი განვითარებისათვის მიმდინარე პროცესების საფუძველზე.
- პირველი სწავლის შედეგის "ბიზნესის ადმინისტრირებაში უახლესი მიღწევების თეორიული და კვლევაზე დაფუძნებული ფუნდამენტური ცოდნა, რაც აძლევს არსებული ცოდნის გაფართოებისა და ინოვაციური მეთოდების გამოყენების საშუალებას" თაობაზე: იგი მოითხოვს უფრო მეტ სიზუსტეს. მაგალითად, "ბიზნესის ადმინისტრირებაში უახლესი მიღწევების ფუნდამენტური ცოდნა" ფართოა და შეიძლება მისი სხვადასხვანაირად ინტერპრეტაცია. ექსპერტთა ჯგუფმა წარმოდგენილ დოკუმენტებში ან ადგილზე ვიზიტისას დისკუსიებში ვერ შეძლო "ინოვაციური მეთოდების" რაიმე კონკრეტული განმარტების მოძიება. ბიზნესის ადმინისტრირების ფარგლები, ასევე, არაა განსაზღვრული სადოქტორო პროგრამისათვის, რათა დადგინდეს - რას ფარავს იგი და რას არა. აშკარა საჭიროებაა სწავლის შედეგების უფრო დაკონკრეტებისა და სპეციალიზებისა ბიზნესის ადმინისტრირების სფეროს მკაფიო შემუშავებით.
- მეორე სწავლის შედეგის "დარგში სამეცნიერო კვლევისა და სწავლების თანამედროვე მეთოდების ცოდნა" თაობაზე: კარგი იქნებოდა ბოლოში შესაბამისი დარგის დამატება.
- მესამე სწავლის შედეგის "სამეცნიერო საქმიანობის მართვის თეორიული ფა პრაქტიკული ცოდნა" თაობაზე: უკეთესი იქნებოდა სამეცნიერო საქმიანობის ნაცვლად სოციალური მეცნიერების ან ბიზნესის/მენეჯმენტის სამეცნიერო კვლევითი აქტივობის მითითება.
- სწავლის შედეგების მესამე კატეგორიის პირველი ნაწილის "შეიმუშაოს ახალი კვლევითი და ანალიტიკური მეთოდები და მიდგომები, რომლებიც ორიენტირებული იქნება ახალი ცოდნის შექმნასა და საერთაშორისო რეფერირებად პუბლიკაციებში ასახვაზე" თანახმად: გაუგებარია თუ რა იგულისხმება აქ ახალი ცოდნის განვითარებასა და ანალიტიკურ მიდგომებში, რადგან შესაძლოა დოქტორანტურის უმეტესმა კურსდამთავრებულმა ვერ მიაღწიოს ეფექტიანად სწავლის ამ შედეგს.
- სწავლის შედეგების მესამე კატეგორიის მეორე ნაწილის "ინოვაციური კვლევის დამოუკიდებლად დაგეგმვა, განხორციელება და ხელმძღვანელობა" თაობაზე - უკეთესი იქნებოდა "ინოვაციურის" ნაცვლად "სამეცნიეროს" მითითება, რადგან არაა მკაფიოდ

დაზუსტებული თუ რას ნიშნავს "ინოვაციური". ○ ანალოგიური პრობლემებია სხვა სწავლის შედეგებში, მაგალითად, მესამე "გააანალიზოს მიღწევები ბიზნესის ადმინისტრირების სფეროში და შეიმუშაოს პრაქტიკული ღონისძიებები კომპანიაში ანალიზის შედეგების დასანერგად, შესთავაზოს და განახორციელოს ახალი, ეფექტიანიწინადადებები". როგორც ადრე აღინიშნა, ბიზნესის ადმინისტრირება არაა სწორად განსაზღვრული, იგი შეიძლება მოიცავდეს ყველაფერს. უმჯობესი იქნებოდა მისი ზუსტი ფარგლების მოხაზვა. ამ სწავლის შედეგის მეორე ნაწილი გაუგებარია, შესაძლოა ინგლისურად არაზუსტი თაგმანის გამო.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება: ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ შეესაბამება მოთხოვნებს

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთ	მეტწილად შესაბამისობაშია	ნაწილობრივ შესაბამისობაშია	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა		☒		

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი წარმოდგენილი დოკუმენტებისა და ინფორმაციის მიხედვით სადოქტორო პროგრამაზე დაშვების ძირითადი მოთხოვნები შემდეგია: 1. პირი, რომელიც ფლობს MA ან ექვივალენტურ აკადემიურ ხარისხს და აკმაყოფილებს დოქტორანტურის დებულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, უფლებამოსილია ჩაირიცხოს ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამაზე. 2. ინგლისური ენის ცოდნის B2 დონის დამადასტურებელი დოკუმენტი ან ინგლისურენოვანი ბაკალავრის ან მაგისტრის ხარისხის პროგრამის დიპლომი ; 3. იმ შემთხვევაში, თუ აპლიკანტი არ ფლობს ამგვარ დოკუმენტებს, იგი ვალდებულია ჩააბაროს B2 დონის გამოცდა უნივერსიტეტის ენების ცენტრში. 4. სამოტივაციო წერილი აპლიკანტის კვლევითი ინტერესების მითითებით; 5. ორი სარეკომენდაციო წერილი მიმღები კომიტეტის სახელზე; 6. წარმატებული გასაუბრება კსუ-ს მიმღებ კომიტეტთან. მიღების მოთხოვნები ასახავს ძირითადად საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ სადოქტორო პროგრამაზე მიღების მოთხოვნებს. მაგალითად, მინიმალური საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესახებ არაა განმარტებული - ვის მიერ მინიჭებული - ეროვნული თუ საერთაშორისო ინსტიტუციების მიერ? ადგილზე ვიზიტისას, ასევე, გაუგებარი დარჩა საკმარისია თუ არა მაგისტრის ხარისხი თუნდაც აღმასრულებელ განათლებაში (Executive Education), ან ხელოვნების მაგისტრისა (MA) ყოველგვარი აქცენტის გარეშე სამეცნიერო კვლევაზე, თუ აპლიკანტს უნდა ჰქონდეს მეცნიერების მაგისტრის ხარისხი (MSc) ან ფილოსოფიის მაგისტრის (MPhil) ხარისხი შესაბამის სფეროში? მართალია, საქართველოში აღიარებულია მაგისტრის (MA) მხოლოდ ერთი ტიპი, მაგრამ უმჯობესი იქნებოდა ამ საკითხის დაზუსტება. აპლიკანტმა უნდა წარმოადგინოს სამოტივაციო წერილი, რომელიც მიუთითებს მის კვლევით ინტერესებს და ორი სარეკომენდაციო წერილი. თუმცა, არაა დაკონკრეტებული რაიმე დეტალი ამ ორი სარეკომენდაციო წერილის შესახებ, თუ რას უნდა ეხებოდეს ისინი - აკადემიურ თუ პროფესიულ გამოცდილებას, ან საიდან უნდა იყოს ისინი - კომპანიიდან თუ ორგანიზაციიდან, რომელშიც ისინი მუშაობდნენ. მიუხედავად იმისა, რომ სამოტივაციო წერილი მოიცავს განმცხადებლის კვლევის ინტერესს, სადოქტორო დისერტაციის სავარაუდო თემაზე კვლევითი წინადადების პროექტი უნდა იყოს დამატებითი მოთხოვნა, არა როგორც სამოტივაციო წერილის ნაწილი, არამედ როგორც მიღების კრიტერიუმების ერთ-ერთი მოთხოვნა. გარდა ამისა, ხდება მათი ინტერვიუირება სადოქტორო პროგრამის მიმღები კომიტეტის მიერ მათ განზრახვასთან, მოტივაციასთან და შესაბამისობასთან დაკავშირებით.

არაა დაგეგმილი წინასწარი შეფასების ჩატარება სოციალური მეცნიერების კვლევის მეთოდების ცოდნის შესაფასებლად, განსაკუთრებით თვისებრივი და/ან რაოდენობრივი მონაცემების ანალიზის მეთოდებზე. თუმცა, უცნობია ყველა მსურველ სტუდენტრს, რომელმაც მიმართა სადოქტორო სკოლას ინფორმაციის მოთხოვნით, გაეგზავნა თუ არა ელ-ფოსტით დოკუმენტების პაკეტი, რომელიც მოიცავს ინფორმაციას მიღების პროცედურაზე. გარდა ამისა, თუ როგორ აცნობებენ განმცხადებელს მიღებაზე საბოლოო გადაწყვეტილებას - წერილობით, ელ-ფოსტით, მიზეზების მითითებით და ა.შ.

პროგრამაზე მიღების მოთხოვნები და პროცედურები შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას; პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- პროგრამაზე მიღების მოთხოვნები (კრიტერიუმები და პროცედურები);
- ინფორმაციის საჯაროობა - პროგრამაზე მიღების მოთხოვნების თაობაზე ინფორმაციის გავრცელების მეთოდები;
- უსდ-ს ვებ-საიტი;
- ინტერვიუების შედეგები.

რეკომენდაციები:

- გარდა სამოტივაციო წერილისა, აპლიკანტმა დამატებით უნდა მოამზადოს კვლევითი წინადადების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს მისი კვლევის ინტერესს ბიზნესის ადმინისტრირების შერჩეულ სფეროში. თუმცა, შესაძლებელი უნდა იყოს შერჩეული/წარმოდგენილი თემის, თუ პროექტის ნაწილობრივ/სრულად რევიზია და შეცვლა.
- აპლიკანტს უნდა ევალებოდეს, ასევე, ორი სარეკომენდაციო წერილის წარმოდგენა, რომელთაგან პროგრამის აკადემიური ბუნების გათვალისწინებით ერთი უნდა იყოს აკადემიური, ხოლო მეორე პროფესიული გამოცდილების ამსახველი (თუ აქვს სამუშაო გამოცდილება), კომპანიიდან ან ორგანიზაციიდან, რომელშიც იგი მუშაობდა.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- მინიმალური საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესახებ არაა განმარტებული - ვის მიერ მინიჭებული - ეროვნული თუ საერთაშორისო ინსტიტუციების მიერ? ადგილზე ვიზიტისას, ასევე, გაუგებარი დარჩა საკმარისია თუ არა მაგისტრის ხარისხი თუნდაც აღმასრულებელ განათლებაში, ან ხელოვნების მაგისტრისა (MA) ყოველგვარი აქცენტის გარეშე სამეცნიერო კვლევაზე, თუ აპლიკანტს უნდა ჰქონდეს მეცნიერების მაგისტრის ხარისხი (MSc) ან ფილოსოფიის მაგისტრის (MPhil) ხარისხი შესაბამის სფეროში? უმჯობესი იქნებოდა ამის დაზუსტება.
- რეკომენდებულია, რომ დაშვების მოთხოვნები შეიცავდეს წინასწარ შეფასებას სოციალური მეცნიერებების კვლევის მეთოდების უნარების თაობაზე, კერძოდ, რაოდენობრივი და/ან ხარისხობრივი მონაცემების ანალიზის ტექნიკას, რაც გადამწყვეტია სადოქტორო პროგრამის ნებისმიერი პოტენციური კანდიდატის კვლევითი უნარების შეფასებაში.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ შეესაბამება მოთხოვნებს

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, დიზაინისა და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და პროგრამის სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანამიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უსდ ოპერირებს საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების და გაუმჯობესების მეთოდოლოგიით, რომელიც შედგება 4 ძირითადი საფეხურისაგან ნებისმიერი ახალი საგანმანათლებლო პროგრამის დიზაინისათვის. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და პროგრამის სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანამიმდევრული და ლოგიკურია. პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას, ხოლო საბოლოო კვალიფიკაცია, რომელიც მიენიჭება პროგრამის წარმატებით დამთავრების შემდეგ, შეესაბამება პროგრამის შინაარსსა და სწავლის შედეგებს.

თვითშეფასების ანგარიშში წარმოდგენილი ინფორმაციისა და ადგილზე ვიზიტისას განხორციელებული შეხვედრების თანახმად, მსგავსი სახელმძღვანელო პრინციპები ბიზნესისა და მენეჯმენტის სადოქტორო პროგრამებისთვის გათვალისწინებულია პროგრამის სტრუქტურის შემუშავებისას. სადოქტორო პროგრამა შედგება 60 ECTS კრედიტისაგან და კვლევით (120 ECTS) კომპონენტისაგან, რომელშიც სასწავლო კომპონენტი თავის მხრივ შედგება სავალდებულო და არჩევითი ელემენტებისაგან. სადოქტორო პროგრამის საგანმანათლებლო კომპონენტი მიზნად ისახავს უზრუნველყოს დოქტორანტი მეთოდოლოგიური სპეციალიზაციით, ხელს უწყობს დოქტორანტს სადისერტაციო ნაშრომის დასრულებაში, ამზადებს მას მომავალი პედაგოგიური და სამეცნიერო აქტივობებისათვის.

სასწავლო კომპონენტის სავალდებულო ელემენტები:

- აკადემიური წერა დოქტორანტებისათვის - **5 ECTS**
- კვლევის რაოდენობრივი და ხარისხობრივი მეთოდები ბიზნესში **(10 ECTS);**
- სწავლების თანამედროვე მეთოდები **(5 ECTS):**
- პროფესორის ასისტენტობა - **(15 ECTS);**
- თემატური სემინარი - **(15 ECTS);**
- მეცნიერების მართვა - **(5 ECTS);**

კვლევითი კომპონენტი პროგრამაში წარმოდგენილია შემდეგი სავალდებულო კომპონენტებით:

- სამეცნიერო ნაშრომის დაგეგმვა და დიზაინი;
- სამეცნიერო ნაშრომის კოლოკვიუმი - 1;
- სამეცნიერო ნაშრომის კოლოკვიუმი - 2;
- სამეცნიერო ნაშრომის კოლოკვიუმი - 3;
- სადისერტაციო ნაშრომის დასრულება და მისი დაცვა **(120 ECTS).**

ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამა შედგება 180 ECTS კრედიტისაგან და მისი ხანგრძლივობაა 3 წელი, მაქსიმუმ 4 წელი სრულ განაკვეთზე. სწავლების პროცესი სტრუქტურირებულია სემესტრულად. ყველა სასწავლო კომპონენტის ხანგრძლივობა ერთი სემესტრია. სემესტრი შედგება კალენდარული კვირებისაგან. თითოეული კვირა შედგება საკონტაქტო საათებისაგან, ისევე როგორც, დამოუკიდებელი მუშაობის საათებისაგან.

სტუდენტთა დატვირთვის სტრუქტურაში ძირითადი, არჩევითი კურსებისა და კვლევითი კომპონენტის თანაფარდობა არაა მკაფიოდ წარმოდგენილი, რათა დადგინდეს დაბალანსებულადაა იგი შედგენილი თუ არა. ამგვარად, პროგრამის სტრუქტურა შესაძლოა ხელს არ უწყობდეს სტუდენტის დატვირთვის მიზნების ეფექტურ დადგენას და სტუდენტების მიერ პროგრამის მიზნებთან დაკავშირებული უნარების შეძენას. ასევე, გაუგებარია პროგრამაში კრედიტების რაოდენობა თანაბრადაა განაწილებული თუ არა სემესტრების მიხედვით.
საკრედიტო ქულების და დატვირთვის სპეციფიკაციები საჭიროა საგულდაგულოდ და სწორად დაინერგოს პროგრამის შეუფერხებელი მიწოდების მისაღწევად. უსდ უზრუნველყოფს კურსების დეტალურ აღწერას, რაც ეხმარება როგორც სტუდენტებს, ისე პროგრამაში ჩართულ აკადემიურ პერსონალს.

თუმცა, ექსპერტთა ჯგუფი ვერ დარწმუნდა იმაში, რომ სტრუქტურული მოთხოვნები პროგრამისადმი, დაკავშირებული შეფასება და სტუდენტთა ავადმყოფობის გამო გაცდენილი გამოცდების კომპენსირების ვადები და ფორმა დადგენილია. მართვადი სტუდენტური დატვირთვა უზრუნველყოფილია პროგრამის ფარგლებში შესაბამისი კურიკულუმის დიზაინით და დატვირთვის დამაჯერებელი გაანგარიშებით ქართული და ევროპული სტანდარტების შესაბამისად. ასევე, შეფასებების რაოდენობა და სიხშირე როგორც ჩანს უფრო შეესაბამება ტრადიციულ მაგისტრატურის დონის პროგრამას, ვიდრე დოქტორანტურას და ექსპერტთა ჯგუფი არ არის დარწმუნებული, რომ ეს ეფექტურად შეიძლება მოემსახუროს მიზანს. ამას, ასევე, ხაზი გაესვა დისკუსიების მსვლელობაში კსუ-ს სადოქტორო პროგრამების დოქტორანტებთან და კურსდამთავრებულებთან. შეფასებები გადანაწილებულია სემესტრის განმავლობაში, მაგრამ ექსპერტთა ჯგუფი მოუწოდებს უსდ-ს რეგულარული მონიტორინგი გაუწიოს თუ როგორ ართმევენ თავს სტუდენტები შეფასებას, რადგან როგორც ჩანს, ეს მკაცრადაა სტრუქტურირებული და მოითხოვს გარკვეული მოქნილობის შესაძლებლობას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი ნამდვილად არაა სადოქტორო პროგრამის ძლიერი მხარე და ექსპერტთა ჯგუფმა ვერ მოიძია ანალოგიურ სადოტორო პროგრამებისაგან განმასხვავებელი რაიმე განსაკუთრებული ელემენტი. მაგალითად, კითხვაზე პროგრამის განსაკუთრებული ან ინოვაციური ასპექტების შესახებ, რამდენჯერმე იქნა მოხსენიებული მეცნიერების მართვის მოდული. ექსპერტთა ჯგუფმა დაადგინა, რომ ეს მოდული მოიცავს სამეცნიერო კვლევის ძირითად და ფუნდამენტურ ელემენტებს. ეს მნიშვნელოვანია დოქტორანტებისათვის, მაგრამ, როგორც წესი, ასეთი ასპექტების მიწოდება ხდება რეგულარული სემინარების/ვორქშოპების მეშვეობით.

გარდა ამისა, ექსპერტთა ჯგუფი იმედოვნებს, რომ პროგრამის მკაცრი სტრუქტურა ვერ შეუქმნის რაიმე პრობლემას სადოქტორო პროგრამებისათვის დამახასიათებელ აუცილებელ მოქნილობას სტუდენტთა კვლევითი უნარებისა და სწავლების პრაქტიკის თვალსაზრისით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ კსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, დიზაინისა და შემუშავების მეთოდოლოგია; ○ საგანმანათლებლო პროგრამა; ○ პროგრამის სილაბუსები; ○ უსდ-ს ვებ-საიტი; ○ პროგრამის მოდიფიცირებაში დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის დოკუმენტი; ○ ინტერვიუების შედეგები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: O არსებობს სასწავლო პროგრამის მიზნობრივი ნიშნულების დადგენის აუცილებლობა საერთაშორისო დონეზე აღიარებული შესაბამისი სადოქტორო პროგრამების მიმართ. სასწავლო პროგრამის სავალდებულო ნაწილი ფოკუსირებულია ძირითადად კვლევის მეთოდების მთავარ ასპექტებზე და მენეჯმენტის ზოგიერთ ძირითად ასპექტზე ბიზნესის ადმინისტრირების ფართო სპექტრიდან სავალდებულო სფეროების ან კურსების რაიმე მკაფიო იდენტიფიკაციის და/ან შემუშავების გარეშე. o ექსპერტთა ჯგუფი სთავაზობს, რომ განსაკუთრებული საჭიროებების მქონე სტუდენტთა ხელშეწყობისათვის შემუშავდეს დაკავშირებული შეფასების სისტემა და სტუდენტთა ავადმყოფობის გამო გაცდენილი გამოცდების კომპენსირების პირობები, ვადები და გამოცდის ფორმა. ○ შეფასებების რაოდენობა და სიხშირე როგორც ჩანს უფრო შეესაბამება ტრადიციულ მაგისტრატურის დონის პროგრამას, ვიდრე დოქტორანტურას და ექსპერტთა ჯგუფი არ არის დარწმუნებული, რომ ეს ეფექტურად შეიძლება მოემსახუროს მიზანს. შეფასებები გადანაწილებულია სემესტრის განმავლობაში, მაგრამ ექსპერტთა ჯგუფი მოუწოდებს უსდ-ს რეგულარული მონიტორინგი გაუწიოს სტუდენტთა კმაყოფილებას შეფასების სახეობით, რადგან როგორც ჩანს, ეს მკაცრადაა სტრუქტურირებული და მოითხოვს გარკვეული მოქნილობის შესაძლებლობას დოქტორანტურის დონისათვის.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ შეესაბამება მოთხოვნებს

2.3 სასწავლო კურსი
➢ ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შესაბამისობაშია პროგრამის სწავლის შედეგებთან, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს; ➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სტუდენტთა სწავლის შედეგები თითქმის ყველა სავალდებულო კურსისათვის შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს. ამასთან, ამის დადასტურება ვერ მოხერხდა, რადგან არ იქნა წარმოდგენილი რუკა ამის შესაფასებლად. თითოეული კურსის შინაარსი შეესაბამება კურსის სწავლის შედეგებს. თითოეული კურსისათვის გამოყოფილი კრედიტების რაოდენობა (საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობის საათების რაოდენობა სტუდენტებისათვის) შეესაბამება კურსის შინაარსსა და სწავლის შედეგებს. ასევე, ლოგიკურია საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობის საათების თანაფარდობა, ითვალისწინებს კურსის თავისებურებებს, საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობის საათების რაოდენობას, სწავლის მეთოდებს (ლექცია, სემინარი, კვლევითი მუშაობა და სხვ.) და შეესაბამება კურსის შინაარსსა და სწავლის შედეგებს. თუმცა, ექსპერტთა ჯგუფი ვერ დარწმუნდა, რომ თითოეული კურსის ყველა სწავლის შედეგი შეფასებულია სადოქტორო პროგრამისათვის შესაბამისი კარგად შერჩეული შეფასების მეთოდით. მხოლოდ ფართო აღწერილობაა წარმოდგენილი, მაგრამ რაიმე კონკრეტული ან მოკლე ინფორმაცია ამ ასპექტის შესაფასებლად არ არის მოცემული. სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია ბიზნესის ადმინისტრირების დარგის აქტუალურ მიღწევებზე და დარწმუნებული არა ვართ, რომ ისინი უზრუნველყოფენ პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა და სხვა საკითხავი მასალა შეესაბამება კურსის სწავლის შედეგებს. სამწუხაროდ, ამ ნაწილში უამრავი ზედმეტი აქცენტია გამახვილებული კვლევითი ლიტერატურის საკმაოდ მარტივ ასპექტზე და ბიბლიოთეკის მატერიალურ-ტექნიკურ შესაძლებლობაზე, როგორც სადოქტორო პროგრამის, ისე თვითშეფასების დოკუმენტებში. ექსპერტთა ჯგუფმა ვერ შეძლო ისეთი აუცილებელი დეტალების მოძიება, როგორიცაა კურსების დაკავშირება პროგრამის სწავლის შედეგებთან, ვერტიკალური და ჰორიზონტალური კავშირი, ინტეგრირება კურსებს შორის და სწავლის შედეგების/შერჩეული კურსების შინაარსისა და შერჩეული შეფასებების რაციონალურობა ან დასაბუთება. აშკარაა, რომ ანალიტიკური ასახვა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ზოგადი აღწერილობა, რათა დაეხმაროს აკრედიტაციის ექსპერტებს პროგრამის სასწავლო გეგმისა და მისი რაციონალურობის გარკვევაში. ექსპერტთა ჯგუფმა დაადგინა, რომ უმჯობესი იქნებოდა უახლესი რელევანტური ლიტერატურის მუდმივი მოძიება კურსების განახლებისათვის ამ სფეროში ბოლო დროს განვითარებული მოვლენების გათვალისწინებით. გარდა ამისა, კურსების შინაარსზე და კურიკულუმში მოწოდებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, ექსპერტთა ჯგუფმა გამოავლინა, რომ პროგრამის სილაბუსებსა და სწავლებაში ნაკლები აქცენტია გაკეთებული მონაცემთა ხარისხობრივ ანალიზზე. სადოქტორო პროგრამის გათვალისწინებით აშკარა ყურადღება უნდა გამახვილდეს როგორც თვისებრივი, ასევე რაოდენობრივი მონაცემების ანალიზის უნარების განვითარებაზე, დამატებით ამ ორი თემის სწავლებაზე სასწავლო კურსში.

დოქტორანტებმა, ასევე, საკუთარი გამოცდილების გაღრმავების მიზნით უნდა ჩაატარონ მინი-სემინარი ან ლექცია სხვა უსდ-ში სტუმარი მეცნიერის სტატუსით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საგანმანათლებლო პროგრამა; ○ სილაბუსები; ○ კურსების სწავლის შედეგების შეფასების შედეგები; ○ გამოკითხვის შედეგები; ○ ინტერვიუების შედეგები.
რეკომენდაციები: ○ ექსპერტთა ჯგუფი ვერ დარწმუნდა, რომ თითოეული კურსის ყველა სწავლის შედეგი შეფასებულია სადოქტორო პროგრამისათვის შესაბამისი კარგად შერჩეული შეფასების მეთოდით. ამ თვალსაზრისით მხოლოდ ფართო აღწერილობაა წარმოდგენილი, მაგრამ რაიმე კონკრეტული ან ზუსტი ინფორმაცია ამ ასპექტის შესაფასებლად სათანადო დასაბუთებით არ არის მოცემული. უსდ-მ უნდა მოხაზოს სწავლის შედეგები თითოეული კურსისათვის, ყველა კურსისთვის შესაფერისი შეფასების მეთოდების პაკეტით. ○ ექსპერტთა ჯგუფმა ვერ შეძლო ისეთი აუცილებელი დეტალების მოძიება, როგორიცაა კურსების დაკავშირება პროგრამის სწავლის შედეგებთან, ვერტიკალური და ჰორიზონტალური კავშირი, ინტეგრირება კურსებს შორის და სწავლის შედეგების/შერჩეული კურსების შინაარსისა და შერჩეული შეფასებების რაციონალურობა ან დასაბუთება. ამის განმარტება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დოქტორანტებისათვის, რათა იცოდნენ პროგრამაში საკუთარი პროგრესი დასაწყისიდან დასრულებამდე.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: ○ კურიკულუმში წარმოდგენილი კურსების შინაარსისა და ინფორმაციის განხილვის შედეგად ექსპერტთა ჯგუფმა გამოავლინა, რომ კონკრეტულ კურსებში ნაკლები ყურადღება ეთმობა აუცილებელ დეტალებსა და სპეციფიკაციებს და სხვა კურსებს შორის ინტეგრაციას. ექსპერტთა ჯგუფმა ვერ შეძლო ისეთი აუცილებელი დეტალების მოძიება, როგორიცაა კურსების დაკავშირება პროგრამის სწავლის შედეგებთან, ვერტიკალური და ჰორიზონტალური კავშირი, ინტეგრირება კურსებს შორის და სწავლის შედეგების/შერჩეული კურსების შინაარსისა და შერჩეული შეფასებების რაციონალურობა ან დასაბუთება.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ შეესაბამება მოთხოვნებს

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
პროგრამა უზრუნველყოფს სწავლის შედეგების შესაბამისად სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ ჩართვას კვლევით პროექტებში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი წარმოდგენილი სადოქტორო პროგრამა შედგება სასწავლო (60 ECTS) და კვლევითი კომპონენტისაგან (180 ECTS). პროგრამის შინაარსი ორიენტირებულია სტუდენტების მიერ სწავლებისა და სამეცნიერო აქტივობების პრაქტიკული უნარების ათვისებაზე და მათ ჩართვაზე სამეცნიერო-კვლევით პროექტებში. სასწავლო კომპონენტთაგან ერთ-ერთი - პროფესორის ასისტენტობა (15 ECTS) - გულისხმობს დოქტორანტების მიერ ლექციებისა და სემინარების ჩატარებას. ასევე, შუალედური და საბოლოო გამოცდების მომზადებას, საგამოცდო ნაშრომების/ბილეთების შეფასებას, BA და MA დონის სტუდენტების ნაშრომების შემოწმებას. მიუხედავად ამისა, ინტერვიუების მსვლელობაში ექსპერტთა ჯგუფმა ვერ მიიღო მკაფიო პასუხი - მიიჩნევენ ამ კომპონენტს სტუდენტები მნიშვნელოვნად კონკრეტული პრაქტიკული უნარების შეძენაში და მათ განვითარებაში სამომავლო კარიერისათვის, თუ არა. გარდა ამისა, კურსის 'თანამედროვე სწავლების მეთოდები" შინაარსი არ უწყობს ხელს სტუდენტებს ამ საგნის შესახებ მიღებული თეორიული ცოდნიდან პრაქტიკული უნარების გამომუშავებაში. უნივერსიტეტი სთავაზობს დოქტორანტებს ახალ კურსს "მეცნიერების მართვას". ვინაიდან საგანი მანამდე არ ისწავლებოდა, ექსპერტთა ჯგუფმა ვერ დაადგინა მისი ფუნქიონალურობა, რაც ზემოთ უკვე აღინიშნა. ამასთან, "სასწავლო კურსის შინაარსის" მიხედვით, უცნობია შეძლებს თუ არა სტუდენტს პრაქტიკული უნარების მიღებას იმ თეორიული მასალის მიხედვით, რომელიც მოკლედ არის აღწერილი დოკუმენტში. რესპონდენტების თანახმად, რომელთაც შეხვდა ექსპერტთა ჯგუფი, პროგრამის შემუშავებისას გათვალისწინებულ იქნა სხვადასხვა სექტორიდან პერსპექტიული დამსაქმებლების საჭიროება. ამასთან, არსებობს ეჭვები, შეუძლიათ თუ არა დოქტორანტურის კურსდამთავრებულებს სამეცნიერო კვლევების შედეგებისა და შეძენილი უნარების გამოყენება რეალურ ბიზნესში. პროფესორის ასისტენტობისა და კვლევითი კომპონენტების შესრულების მიმდინარეობაში სტუდენტს ხელმძღვანელობს კვალიფიციური პროფესორი, რომელიც შეირჩევა უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრული კრიტერიუმების მიხედვით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ მემორანდუმები ეკონომიკურ აგენტებთან; ○ სასწავლო კომპონენტის სილაბუსები; ○ სამეცნიერო კონფერენციების მასალები, ინფორმაცია გატარებული აქტივობების შესახებ; ○ სტუდენტთა მიერ გამოქვეყნებული სამეცნიერო სტატიები (თანა-ავტორობით); ○ უსდ-ს მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგები; ○ სადოქტორო პროგრამა ,, ბიზნესის ადმინისტრირება"; ○ კვლევით პროექტებში სტუდენტთა მონაწილეობის დამადასტურებელი სტატისტიკური მონაცემები; ○ ინტერვიუს შედეგები
რეკომენდაციები: ○ "პროფესორის ასისტენტობის" კომპონენტის უნარები გახდეს განვითარებაზე ორიენტირებული და ღირებული დოქტორანტებისათვის; ○ საგანი "მეცნიერების მართვა" გახდეს უფრო მეტად ორიენტირებული პრაქტიკაზე.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ შეესაბამება მოთხოვნებს

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლებისა და სწავლის (SCL) მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სწავლის მეთოდები განსაზღვრულია პროგრამის თითოეულ სილაბუსში. ზოგიერთი მათგანი: ინტერაქტიული ლექცია, შემთხვევის ანალიზი, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, ჯგუფური მუშაობა, დისკუსია ჯგუფში, დემონსტრირებები, პრაქტიკული მუშაობა/საშინაო დავალება და ა.შ. თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში სილაბუსში ნახსენები სწავლების მეთოდები ძალიან ბევრია და არ შეესაბამება სწავლის შედეგებს. გარდა ამისა, ზოგიერთ შემთხვევაში, სილაბუსებში განსაზღვრული სწავლების მეთოდების ეფექტურობა და ეფექტიანობა არ შეიძლება გაიზომოს იმავე სილაბუსში მოცემული შეფასების მეთოდებითა და კრიტერიუმებით. უფრო მეტიც, ზოგიერთ შემთხვევაში, სწავლების მეთოდები სტუდენტებს საშუალებას არ აძლევს მიაღწიონ სილაბუსებში მოცემულ მიზნებს. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს პროგრამებში ჩართულ პროფესორებს ტრენინგით თანამედროვე სწავლების მეთოდების თემაზე. თუმცა, ხარისხის უზრუნველყოფის ერთეული არ აფასებს ტრენინგების ეფექტურობას და იმას, ცდილობენ ლექტორები ახალი მეთოდოლოგიების დანერგვას თუ არა. ექსპერტთა ჯგუფმა ვერ მოიძია ამის თაობაზე რაიმე ინფორმაცია წარმოდგენილ დოკუმენტაციაში და ინტერვიუებში ადგილზე ვიზიტისას. უფრო მეტიც, უნდა აღინიშნოს, რომ არ არსებობს მკაფიო გაგება იმისა, თუ რას მიიჩნევს უსდ სწავლების თანამედროვე მეთოდებად. ექსპერტთა ჯგუფის ინტერვიუებისას რესპონდენტებს ვერ მოყავდათ კონკრეტული მაგალითები კონკრეტული სტუდენტის საჭიროებებზე მორგებული ინდივიდუალური პროგრამების შესახებ.
ვინაიდან პროგრამა ისწავლება ქართულად, მასში არ არიან ჩართულნი უცხოელი სტუდენტები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამების სილაბუსები;
- უსდ-ში ჩატარებული გამოკითხვის შედეგები;
- სადოქტორო პროგრამა ,, ბიზნესის ადმინისტრირება";
- ინტერვიუების შედეგები.

რეკომენდაციები:

- სწავლების მეთოდების დაკავშირების უზრუნველყოფა სწავლის შედეგებთან;
- სწავლების მეთოდებით სილაბუსებში დადგენილი მიზნების მიღწევის უზრუნველყოფა;
- სწავლების ეფექტიანობის გაზომვა და თვალყურის მიდევნება, ცდილობენ თუ არა ლექტორები დანერგონ ცოდნა, რომელიც შეიძინეს ხარისხის უზრუნველყოფის ერთეულის მიერ განხორციელებული ტრენინგის პროცესში;
- თანამედროვე მეთოდების მნიშვნელობის განსაზღვრა და ასახვა სილაბუსებში.

რჩევები პროგრამის განვითარებისათვის:

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ შეესაბამება მოთხოვნებს

2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უსდ-ამ ჩამოაყალიბა სტუდენტთა შეფასების სისტემა შეფასების პროცედურების შესაბამისად. შეფასების კრიტერიუმები პროგრამის სწავლისა და კვლევის კომპონენტებისათვის მკაფიოდ და გამჭვირვალედაა წარმოდგენილი სილაბუსებში. სტუდენტთა შეფასება ემყარება მათ მოსწრებას მთელი კურსის განმავლობაში. საერთო შეფასება შედგება ორ ნაწილისაგან: შუალედური შეფასებისა და საბოლოო შეფასებისაგან. შუალედური შეფასება შედგება რამდენიმე კომპონენტისაგან. უმაღლესი შეფასება. უმაღლესი შეფასება, რაც სტუდენტმა შეიძლება მიიღოს არის 100 ქულა, ხოლო მინიმალური დამაკმაყოფილებელი დონე - 51 ქულა.

შეფასების კრიტერიუმები წარმოდგენილია პროგრამის თითოეულ სილაბუსში და შეესაბამება კანონმდებლობას ("უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტების გამოანგარიშების წესი"). კრიტერიუმები გამჭვირვალეა და ცნობილია სტუდენტებისათვის (ლექტორები და ხელმძღვანელი აცნობენ მათ სტუდენტებს პირველ შეხვედრაზე). თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში შეფასების კრიტერიუმები ძალიან მკაცრი და მოუქნელია და არ შეესაბამება დოქტორანტურის დონეს. უფრო მეტიც, ზოგიერთ შემთხვევაში, შეფასების კრიტერიუმები არ აძლევენ სტუდენტებს სილაბუსებში განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის საშუალებას. პროგრამაში ჩართული ლექტორები და ხელმძღვანელები კარგად იცნობენ შეფასების სისტემას და კრიტერიუმებს, რომლებიც წარმოდგენილია პროგრამაში სტანდარტული სახით და არც ერთი ასახავს შეფასების რომელიმე თანამედროვე მეთოდს.

სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელი პერიოდულად აფასებს დოქტორანტის პროგრესს სწავლისა და კვლევის პროცესში სამი კოლოქვიუმის პრეზენტაციის მეშვეობით. ასევე, სადოქტორო ნაშრომის ზეპირი დაცვის წინ, სტუდენტმა უნდა გაიაროს დაცვისწინა საფეხური, რომელზეც სტუდენტი იღებს უკუკავშირს საბოლოო დაცვისათვის მოსამზადებლად. ეს საფეხური კარგი რეპეტიციაა სტუდენტებისთვის. საბოლოო სადისერტაციო ნაშრომის დაცვა ხორციელდება უნივერსიტეტის "დისერტაციის შეფასების და დაცვის პროცედურების" თანახმად, სადისერტაციო კომისიის მონაწილეობით. საბოლოო დისერტაციის შეფასება მოიცავს ერთ შიდა და ერთ გარე შემფასებელს, რომლებსაც განსაზღვრავს დაცვის კომისია. იმ შემთხვევაში, თუ ერთი ექსპერტი მისცემს სტუდენტს არადამაკმაყოფილებელ შეფასებას, კომიტეტი განსაზღვრავს მესამეს მოდერაციისათვის. შეფასების კრიტერიუმები განსაზღვრულია დებულებაში დისერტაციის დაცვის კომიტეტის შესახებ. შეფასება, ასევე, ხდება ორი ექსპერტის მიერ. სადისერტაციო ნაშრომის დაცვა საჯაროა.

სტუდენტებს შეუძლიათ შეფასების გასაჩივრება უნივერსიტეტში მოქმედი შესაბამისი პროცედურის თანახმად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ სადოქტორო პროგრამა ,, ბიზნესის ადმინისტრირება"; ○ სადისერტაციო კომისიის შემადგენლობა; ○ შეფასების ფორმები, კომპონენტები და მეთოდები; ○ უსდ-ში ჩატარებული გამოკითხვის შედეგები; ○ სასწავლო კომპონენტის სილაბუსები; ○ შეფასების სისტემის მარეგულირებელი დოკუმენტი; ○ სადოქტორო დისერტაციის შეფასებისა და დაცვის რეგულაციები; ○ ინტერვიუების შედეგები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:
საუკეთესო პრაქტიკა (-ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება: ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ შეესაბამება მოთხოვნებს

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებ	მეტწილად შესაბამისობაშია	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა			☒	

3. სტუდენტთა მიღწევები და მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1. სტუდენტთა ხელშეწყობის მომსახურებები
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალთან გასაუბრებების, ასევე, დაწესებულებების მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების გათვალისწინებით, ნათელია, რომ სტუდენტები იღებენ კონსულტაციებს მათი პროფილის განსაზღვრის მიზნით, ასევე სასწავლო პროცესის დაგეგმვის და აკადემიური მიღწევების გაუმჯობესების გზების შესახებ. ისინი, ასევე, იღებენ ინფორმაციას ადგილობრივ და საერთაშორისო ღონისძიებებსა და გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის შესაძლებლობების თაობაზე. ამ პროცესში სტუდენტებს ეხმარება ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალი. პრობლემების წამოჭრის შემთხვევაში სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა მიმართონ სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტს და მიიღონ შესაბამისი მომსახურება. სტუდენტებთან ინტერვიუებმა გამოავლინა, რომ ისინი კმაყოფილნი არიან მიღებული სტუდენტური სერვისების დახმარებით. კონკრეტული კურსის საკონსულტაციო საათები მითითებულია სილაბუსში და ასევე გაჟღერებულია ლექტორის მიერ. დოქტორანტებს ასევე აქვთ შესაძლებლობა ისარგებლონ სპეციალური ოთახებით ბიბლიოთეკაში და უნივერსიტეტის ძირითად შენობაში, რომლებიც აღჭურვილია მათთვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზით კვლევის ეფექტურად წარმართვისათვის.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ სადოქტორო პროგრამა ○ თვითშეფასების ანგარიში; ○ გასაუბრებები უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან; ○ გასაუბრება პროგრამის კოორდინატორთან და ადმინისტრატორთან; ○ ინტერვიუ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ შეესაბამება მოთხოვნებს

3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა
მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ ნაშრომის კვალიფიციური ხელმძღვანელები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სტუდენტებთან გასაუბრებამ ცხადყო, რომ საკონსულტაციო დრო ადეკვატურია და აქვთ საშუალება, განიხილონ მათი კვლევის საკითხები აკადემიურ პერსონალთან და მათ ხელმძღვანელებთან. სტუდენტებს აქვთ თავიანთ ხელმძღვანელებთან შეხვედრის, ისევე, როგორც მათთან კონტაქტის შესაძლებლობა კომუნიკაციის სხვადასხვა საშუალებით. აკადემიური პერსონალის დატვირთვის სქემა მოიცავს ინდივიდუალურ მუშაობას სტუდენტებთან. ამასთან ერთად, გასაუბრების დროს აშკარა იყო, რომ ფაკულტეტის წევრები მოტივირებული და კმაყოფილები იყვნენ საკომუნიკაციო და საზედამხედველო პროცესებით. ინტენსიური კომუნიკაციების არსებობა აღინიშნა სტუდენტების მიერაც. მათ აქვთ კონსულტაციების წინასწარ განსაზღვრული გრაფიკი, რომლის მიხედვითაც ისინი ხვდებიან და მსჯელობენ ნაშრომთან დაკავშირებულ საკითხებზე. ასევე, კომუნიკაციის პროცესი ხელმძღვანელებთან ინტენსიურია ელექტრონული კომუნიკაციის სხვადასხვა საშუალებების მეშვეობით. უნივერსიტეტს გააჩნია შინაგანაწესი, რომელიც უზრუნველყოფს, რომ დოქტორანტს ჰყავდეს კვალიფიციური ხელმძღვანელი მისი დისერტაციის თემის სფეროში. ერთ-ერთი მოთხოვნა ისაა, რომ ხელმძღვანელს უნდა ჰქონდეს შესაბამის სფეროში სამეცნიერო პუბლიკაციების მინიმალური რაოდენობა და არანაკლებ 3-წლიანი ხელმძღვანელობის გამოცდილება სადოქტორო დონეზე. გარდა ამისა, სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა რომ აიყვანონ ხელმძღვანელი სხვა დაწესებულებიდან, რომელიც აკმაყოფილებს ზემოაღნიშნულ მოთხოვნებს იმ შემთხვევაში, თუ ამგვარი გამოცდილება არავის აქვს კსუ-ში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ სადოქტორო პროგრამა ○ თვითშეფასების ანგარიში; ○ გასაუბრებები უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან; ○ გასაუბრება პროგრამის კოორდინატორთან და ადმინისტრატორთან; ○ ინტერვიუ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:
შეფასება ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არ შეესაბამება მოთხოვნებს

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობა შია მოთხოვნებთ	მეტწილად შესაბამისობ აშია	ნაწილობრივ შესაბამისობაში ა	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები და მათთან ინდივიდუალური მუშაობა	☒			

4. სასწავლო რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსები
➢ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია; ➢ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას; ➢ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში; ➢ პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამა ხორციელდება აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ, რომელთაც აქვთ სამეცნიერო, საგანმანათლებლო და პრაქტიკული გამოცდილება, დადასტურებული უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში გამოცემული მონოგრაფიებით, სახელმძღვანელოებით, სამეცნიერო სტატიებით, სისტემატური მონაწილეობით ეროვნულ და საერთაშორისო კონფერენციებში, ტრენინგებითა და შესაძლებლობების განვითარების მიზნით განხორციელებული აქტივობებით. პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შესარჩევად უნივერსიტეტმა ჩაატარა რამდენიმე კონკურსი აკადემიური პოზიციების დასაკავებლად. პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 22 აკადემიური პერსონალი.

მათ შორის - 2 პროფესორი, 17 ასოცირებული პროფესორი, 3 მოწვეული ლექტორი. ზემოაღნიშნული აკადემიური პერსონალიდან 2 პროფესორი აფილირებულია, ხოლო 9 - ასოცირებული. აკადემიური პერსონალისა და კონკრეტული პერიოდისათვის მოწვეული ლექტორების მიერ წარმართული აკადემიური პროცესი დამყარებულია შრომით ხელშეკრულებაზე. აკადემიური პოზიციები იქმნება რექტორის ბრძანებით, ხოლო შესაბამისი აკადემიური ხარისხის მქონე პირები და სამეცნიერო გამოცდილება შეირჩევა კონკურსით. გარდა ამისა, შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე, კონკრეტულ მიმართულებაში სპეციალიზებული, მომზადებისა და კვლევითი ნაშრომების მქონე გამოცდილი სპეციალისტების მოწვევა ხდება ლექტორებად.

მოწვეული პედაგოგები სპეციალურად იქნენ რეკრუტირებულნი პროგრამის ადმინისტრაციის მიერ პროგრამის საჭიროებისათვის და წვლილი შეაქვთ მის განვითარებაში. ექსპერტთა ჯგუფს ჰქონდა შესაძლებლობა გადაეხედა პროგრამის შემუშავებასა და განხორციელებაში ჩართული პერსონალის ყველა CV-თვის. გარდა ამისა, პერსონალის რიგ წევრებთან ჩატარდა გასაუბრება, რომლებიც ენთუზიაზმით ზრუნავენ თავიანთ საგნებზე, გაცნობიერებული აქვთ სხვადასხვა მიდგომები სწავლისადმი და ხელს უწყობენ პროგრამის განხორციელებას. ინტერვიუს სესია მოიცავდა აკადემიური პერსონალის ჩართულობის საკითხებს პროგრამის შემუშავებასა და განხორციელებაში; შეფასების სისტემას; სამეცნიერო კომპონენტებს, სწავლების მეთოდებს და სხვ. ამრიგად, ინტერვიუს სესიისა და CV-ების თანახმად, უნივერსიტეტი პროგრამას უზრუნველყოფს კომპეტენტური, კვალიფიციური და გამოცდილი აკადემიური პერსონალით.
სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი ფლობს პროგრამის შემუშავებისათვის საჭირო ცოდნასა და გამოცდილებას და პერსონალურადაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში. მისი კვალიფიკაცია დამოწმებულია შესაბამისი განათლებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა
- უნივერსიტეტის ბიუჯეტი
- გასაუბრებები აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან.
- პერსონალის პირადი საქმეები
- უსდ-ს მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგები;
- საკვალიფიკაციო მოთხოვნები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- კარგი იქნებოდა ადამიანური რესურსების მართვის გრძელვადიანი სტრატეგიის შემუშავება მომავალი მკვლევარებისა და მეცნიერების რეზერვის შესაქმნელად სფეროებში, რომლებშიც აღინიშნება მათი ნაკლებობა.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ შეესაბამება მოთხოვნებს

4.2. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- უსდ რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე. ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურები რეგულარულად აფასებენ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის ტრენინგს, ისევე როგორც მათ სამეცნიერო საქმიანობას, დადგენილი პროცედურების და კრიტერიუმების შესაბამისად.

თვითშეფასების ანგარიშში ხაზგასმულია შემდგომი პროცედურა, რომელიც გამოიყენება აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასებისთვის:

1. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ვალდებულია შეაფასოს, სულ მცირე, 5 ძირითადი სასწავლო კურსი თითოეული პროგრამის ფარგლებში, თითოეულ სემესტრში;
2. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს მოეთხოვება, გააცნოს შეფასების კრიტერიუმები უნივერსიტეტის აკადემიურ, სამეცნიერო და მოწვეულ პერსონალს და აუხსნას შინაარსი და მათი შეფასების საჭიროება.
3. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ვალდებულია აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს წინასწარ აცნობოს, რომ დაესწრება მათ ლექციას.
4. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური უფლებამოსილია ჩაატაროს სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების გამოკითხვა აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შესახებ, აკადემიური წლის დასაწყისში რექტორთან შეთანხმებული სამუშაო გეგმის მიხედვით.
5. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ადგენს შეფასების ფორმასა და კრიტერიუმებს, ინდივიდუალურად აცნობებს აკადემიურ, სამეცნიერო და მოწვეულ პერსონალს შეფასების შედეგების შესახებ;
6. შეფასება ხდება ყოველ სემესტრში;
7. შეფასება ხდება სრულად ან სელექციურად;

8. შეფასების შედეგები კონფიდენციალურია უნივერსიტეტის სხვა აკადემიური/მოწვეული პერსონალისთვის;

შეფასების დასრულებისთანავე, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ამზადებს დასკვნით ანგარიშს და შეიმუშავებს რეკომენდაციებს პროგრამის ხელმძღვანელისთვის, ნაკლოვანებების გამოსასწორებლად. იმავდროულად, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური სთხოვს პროგრამის ხელმძღვანელს, განსაზღვროს დარღვევების გამოწვევი შესაძლო მიზეზები. თუმცა, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სისტემაში არ არის ნახსენები ზომები თუ ქმედებები იმ შემთხვევისთვის, როდესაც არ არის პრობლემები. მაგალითად, ამ ნაწილში ნახსენებია, „პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალი ფასდება დეკანის მიერ სასწავლო პროცესში, დადგენილი კრიტერიუმებისა და ფორმის მიხედვით.“ თუმცა, ბუნდოვანია თუ რატომ და როგორ კეთდება ეს და რა სახით იყენებენ ამ შედეგებს. არ არის საკმარისი იმის თქმა, რომ „ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური გამოიყენებს შედეგებს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების გასაუმჯობესებლად და აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარებისთვის“. ექსპერტთა ჯგუფი ვერ დარწმუნდა პერსონალის შეფასების შედეგების შესახებ არსებული დოკუმენტებითა და ინფორმაციით, რომელიც გვაწვდის ინფორმაციას პერსონალის მონაწილეობის შესახებ კონფერენციებში, ტრენინგ კურსებში, კვლევებსა და საკონსულტაციო პროექტებში.

თვითშეფასების ანგარიშის თანახმად, აკადემიური პერსონალის ხელშეწყობისა და მათი კვლევების დონის ამაღლების მიზნით, უსდ-ში შემუშავდა და განხორციელდა სხვადასხვა გაზომვები:

- რეგულარულად ტარდება ტრენინგები დონორი ორგანიზაციებისგან დაფინანსების მოპოვების მიზნით, რათა დაფინანსდეს სამეცნიერო პროექტები და საერთაშორისო სამეცნიერო საქმიანობები; სამეცნიერო კვლევითი დეპარტამენტი ატარებს ინდივიდუალურ კონსულტაციებს. აღსანიშნავია შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდიდან მოზიდული ინდივიდუალური და ინსტიტუციონალური გრანტები. ცხრა მოგებული გრანტიდან ექვსი დაფინანსდა 2018 წელს, ეს არის უნივერსიტეტის კვლევითი სტრატეგიის შედეგი.
- უნივერსიტეტის აფილირებული პერსონალის, მეცნიერებისა და უმცროსი მეცნიერების მხარდასაჭერად თანადაფინანსება გამოიყოფა დონორი ორგანიზაციებისთვის სამუშაო შეთავაზებების წარდგენის დროს.
- 2019 წლიდან უნივერსიტეტი აცხადებს სრულ მზადყოფნას, სრულად დააფინანსოს აფილირებული აკადემიური პერსონალისა და უმცროსი მეცნიერების სამეცნიერო ნაშრომების გამოცემა სამეცნიერო გავლენის მქონე ჟურნალებში, რაც წაახალისებს მკვლევარებს გამოაქვეყნონ მაღალი დონის სამეცნიერო ჟურნალები.
- მეცნიერები ფინანსდებიან დადგენილი წესების მიხედვით საერთაშორისო სამეცნიერო საქმიანობაში მონაწილეობის მისაღებად.

- უნივერსიტეტის სამეცნიერო კვლევითი დეპარტამენტი, საერთაშორისო ურთიერთობის დეპარტამენტთან ერთად, აწარმოებს მოლაპარაკებებს კონკრეტული მკვლევრის მოთხოვნების მიხედვით, რათა მოიზიდოს უცხოელი მეცნიერები და ჩართოს ისინი კვლევაში როგორც მთავარი პერსონალი, ან პროექტის კონსულტანტები, რათა ასევე განახორციელოს ერთობლივი ინსტიტუციონალური პროექტები.

თუმცა, კსუ ფაკულტეტის წევრების კვალიფიკაციას ამოწმებს დადგენილი პროცედურის მიხედვით. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს აქვს საკმარისი კომპეტენცია საგნებში, რომლებსაც ისინი ასწავლიან. ეს დადასტურდა სამეცნიერო ნაშრომებისა და სხვა პუბლიკაციების ჩამონათვალით, აკადემიური პერსონალის ზოგიერთ პროექტში მონაწილეობით. კვლევისა და განვითარების აქტივობები გათვალისწინებულია სადოქტორო პროგრამის ბიუჯეტში. კვლევითი აქტივობების ხელშესაწყობად უნივერსიტეტში შექმნილია კვლევისა და განვითარების (R&D department) დეპარტამენტი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამეცნიერო-კვლევითი აქტივობების წამახალისებელი მექანიზმები.
- პროგრამაში ჩართული პირების სამეცნიერო/კვლევითი ინდიკატორები;
- აკადემიური პერსონალის აქტივობების შედეგები (სწავლებისა და კვლევის ხარისხი) შეფასებისა და კმაყოფილების კვლევა;
- შეფასების შედეგების გამოყენება პერსონალის მენეჯმენტსა და განვითარებაში;
- სტატისტიკური მონაცემები პერსონალის შესახებ;
- საერთაშორისო პროექტებში, კონფერენციებში, კვლევებსა და ღონისძიებებში პერსონალის ჩართულობის მაჩვენებელი;
- საერთაშორისო თანამშრომლობის დამადასტურებელი დოკუმენტები;
- ბიზნესის ფაკულტეტის ბიუჯეტი.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- სასურველია გარკვეული საერთაშორისო სამიზნე ნიშნულების სტანდარტის დადგენა პერსონალის შერჩევისათვის, განსაკუთრებით სადოქტორო პროგრამისათვის.
- ბიუჯეტი უნდა ითვალისწინებდეს ნებისმიერ საერთაშორისო აკადემიური პერსონალის გაცვლით პროგრამას და ხელს უნდა უწყობდეს უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის დაკავშირებას სხვა ცნობილ კვლევით დაწესებულებებთან.
- ექსპერტთა ჯგუფის რჩევაა, არ მიიღოთ დოქტორანტურის სტუდენტების სულ მცირე ერთი ან ორი ნაკადი, რომელთა საკვლევი თემის სფეციფიკა არ არის ხელმისაწვდომი კსუ-ს აკადემიურ ფაკულტეტთან. სულ მცირე, ორ ნაკადთან პროგრამის წარმატებით განხორციელების შემდეგ, კსუ-ს გარედან დოქტორანტის ხელმძღვანელის მოყვანის შესაძლებლობით ისარგებლებენ სტუდენტები. ეს უზრუნველყოფს არამხოლოდ სტანდარტების ეფექტურად დაკმაყოფილებას, არამედ მნიშნელოვანია მთავარი დაინტერესებული პირებისთვის პროგრამის კარგად მისაწოდებლად.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ შეესაბამება მოთხოვნებს

4.3. მატერიალური რესურსი
პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მატერიალური და ტექნიკური ბაზა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამებით, მათ შორის სადოქტორო პროგრამით, გათვალისწინებული აკადემიური შედეგების მიღწევას. ფაკულტეტის შენობა ნაგებობები აღჭურვილია აკადემიური აუდიტორიებით, სამუშაო ოთახებით, საკონფერენციო ოთახებით, ბიბლიოთეკით, კომპიუტერული ლაბორატორიით. უნივერსიტეტს აქვს ბიბლიოთეკის ახალი შენობა, სადაც სტუდენტებს აქვთ ყველა საჭირო მასალა სამეცადინოდ და კვლევითი მუშაობისთვის. პროგრამა თავის სტუდენტებს სთავაზობს უწყვეტ წვდომას სამეცნიერო და პროფესიული/სახელმძღვანელო საკითხავი მასალების ბეჭდურ და ციფრულ კოლექციებსა და კომპიუტერულ ლაბორატორიებზე, რომლებიც აღჭურვილია სტატისტიკური ანალიზისთვის საჭირო კომპიუტერული პროგრამებით. კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი ასევე, დარეგისტრირებულია ელექტრონული საინფორმაციო ბიბლიოთეკების კონსორციუმის-EIFL-ის წევრად, რაც საშულებას აძლევს სტუდენტს გამოიყენოს შემდეგი ელექტრონული რესურსები: EBSCO Publishing, Academic Search Elite Business Source Elite, ERIC (the Education Resource Information Center), Cambridge University Press
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ვიზიტი უნივერსიტეტის ბიბლიოთეკასა და კომპიუტერის კლასებში ○ თვითშეფასების ანგარიში; ○ გასაუბრება პროგრამის ხელმძღვანელობასთან; ○ გასაუბრება სტუდენტებთან; ○ გასაუბრება პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან.

რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ შეესაბამება მოთხოვნებს

4.4. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა
პროგრამის/ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის შემოსავალი იქმნება დოქტორანტურის სტუდენტებისგან მიღებული სწავლის საფასურით. სადოქტორო პროგრამის შემოსავალი ვერ ფარავს ყველა ხარჯს, მაგრამ პროგრამა მუშაობს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ქვეშ, რომელიც ფინანსურად სტაბილური და მდგრადი ერთეულია და მარტივად ფარავს პროგრამის ხარჯებს. უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ ასევე გამოთქვა მომავალში პროგრამის ფინანსური დახმარების სურვილი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ პროგრამის ბიუჯეტი ○ თვითშეფასების ანგარიში; ○ გასაუბრება პროგრამის ხელმძღვანელობასთან; ○ გასაუბრებები უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან.
რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ შეესაბამება მოთხოვნებს

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთ	მეტწილად შესაბამისობაშია	ნაწილობრივ შესაბამისობაშია	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	☒			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის გასაუმჯობესებლად, პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის უზრუნველყოფის მომსახურებებს და აგრეთვე, პერიოდულად ახორციელებს პროგრამის მონიტორინგსა და პროგრამის განხილვას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხი

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების შედეგების ანალიზში. პროგრამის პერსონალი იყენებს ხარისხის უზრუნველყოფის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის ერთეული იყენებს PDCA (დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-იმოქმედე) ციკლს პროგრამის განვითარებისთვის. ხარისხის უზრუნველყოფის ერთეულის ხელმძღვანელი და უნივერსიტეტის სხვა სტრუქტურული ერთეულების წარმომადგენლები მონაწილეობას იღებენ სასწავლო პროცესის ყველა ეტაპზე: პროგრამის დაგეგმვა, განხორციელება (მიმდინარე შეფასება და ანალიზი), შემოწმება და განვითარება. სემესტრის ბოლოს, ერთეული აფასებს პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის საქმიანობასა და პროდუქტიულობას. თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში, შეინიშნება მიმდინარე საკონტროლო მექანიზმების ნაკლებობა. ამასთან, აღსანიშნავია პროგრამაში ჩართული ადმინისტრაციული პერსონალი. ხარისხის უზრუნველყოფის ერთეული პროგრამას აფასებს ზემოთხსენებულ გამოკითხვებზე დაყრდნობით. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ უნივერსიტეტს არ აქვს მექანიზმი, რომ გაზომოს პროგრამის საერთო ეფექტურობა, რომელიც გამოავლენდა რამდენად ფუნქციონირებადია პროგრამა. გამოკითხვის ჩატარების შემდეგ, ხარისხის უზრუნველყოფის ერთეული იღებს შესაბამის ზომებს იმ შემთხვევაში, თუკი ანალიზის შემდეგ გამოვლინდა პრობლემები. თუმცა, არ არსებობს კვლევის შედეგებზე დაყრდნობით აკადემიური პერსონალისთვის უკუკავშირის მიცემის წინასწარგანსაზღვრული სისტემა. უნივერსიტეტმა შეიმუშავა დოკუმენტი „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და მათი ეფექტურობის შეფასება“, რომლის თანახმადაც ხდება პროგრამის შიდა ხარისხის უზრუნველყოფა. დოკუმენტი ძირითადად იძლევა აღწერითი ხასიათის ინფორმაციას და აკლია ანალიტიკური ნაწილი, რომელიც პროგრამას მიშცემდა უფრო ეფექტურად ფუნქციონირების საშუალებას. ხარისხის უზრუნველყოფის ერთეულს არ აქვს ჩამოყალიბებული შეფასების სისტემა დოქტორანტების მიერ ხელმძღვანელების შესაფასებლად.

უნდა აღინიშნოს, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სისტემაში არ არის ნახსენები ზომები თუ ქმედებები იმ შემთხვევისთვის, როდესაც არ არის პრობლემები. ყოველთვის არის იმის საჭიროება, რომ რეგულარულად შემუშავდეს სისტემები და პროცედურები, მათ შორის აკადემიური კონტენტი. თვითშეფაშების ანგარიშსა და რელევანტურ დოკუმენტებში მოცემული ინფორმაციის უმეტესობა არის უფრო სამუშაო და/ან პროცედურული ხასიათის და არა სტრატეგიული და გრძელვადიან პოლიტიკასთან დაკავშირებული. ეს ნაკლებად ასახავს ან ანალიტიკურ ანალიზს უკეთებს ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის და მისი მოსალოდნელი წარმატების რაციონალურობას. ე.წ. PDCA დეტალურად არის აღწერილი, თუმცა რთულად გასაგებია თუ როგორ ხდება მისი ეფექტური განხორციელება ან როგორ განხორციელდება მომავალში. როდესაც იგივე კითხვა დაისვა ხარისხის უზრუნველყოფის ხელმძღვანელისგან, იგივე აღწერა მივიღეთ ნაცვლად დამაჯერებელი არგუმენტისა და მისი ეფექტური და წარმატებული განხორციელების მაგალითის მტკიცებულებად მოყვანისა. უმეტეს შემთხვევებში, მარტივია ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის დეტალური აღწერის შემუშავება, თუმცა მტკიცებულება გამოჩნდება ამ ტიპის სისტემის ეფექტურ განხორციელებაში.
ექსპერტთა ჯგუფმა ვერ გამოვლინა შიდა ხარისხის კონტროლის სისტემის მიერ განხორციელებული საქმიანობები და ცვლილებები იმ სუსტი მხარეების აღმოსაფხვრელად, რომლებიც აღმოაჩინეს თვითშეფასების ანგარიშის ჩამოყალიბების პროცესში ან კვლევის შედეგებზე დაყრდნობით.

მტკიცებულელებები/ინდიკატორები ○ დოკუმენტი "ხარისხის უზრუნველყოფის მექნიზმები და ეფექტიანობის მენეჯმენტი"; ○ უსდ-ს მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგები; ○ უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის დებულება; ○ საგანმანათლებლო პროცესის მართვის სამსახურის დებულება; ○ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი; ○ ინტერვიუ უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან; ○ ინტერვიუ თვითშეფასების ჯგუფთან; ○ ინტერვიუ პროგრამის მენეჯმენტის ჯგუფთან.
რეკომენდაციები: ○ პროგრამის საერთო ეფექტიანობის გაზომვის მექანიზმის შემუშავება; ○ ისეთი სისტემის შემუშავება, რომელიც პროგრამაში ჩართულ პერსონალს რეგულარულად მიაწვდის როგორც უარყოფით, ასევე დადებით უკუკავშირს; o დაემატოს ანალიტიკური ნაწილი დოკუმენტში "ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და მათი ეფექტიანობა“;
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: ○ მეტი ყურადღება მიქცეს პროგრამაში ჩართული ადმინისტრაციული პერსონალის ხარისხის კონტროლს; ○ სტუდენტის მიერ ხელმძღვანელის შეფასებისათვის კითხვარის შემუშავება.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ შეესაბამება მოთხოვნებს

5.2 გარე ხარისხის შეფასება
პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის უზრუნველყოფის შედეგებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ხარისხის უზრუნველყოფის ერთეული, ადმინისტრაციული ერთეული, პროგრამის ხელმძღვანელი და პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალი რეგულარულად იყენებენ გარე ხარისხის შეფასების მიგნებებს პროგრამის განვითარებისა და გაუმჯობესებისთვის. პროგრამაში ჩართული პერსონალის ყველა წევრი ითვალისწინებს ექსპერტების რეკომენდაციებსა და რჩევებს, რომლებიც მიიღეს აკრედიტაციის პროცედურის შემდეგ. მათ შეცვალეს პროგრამა წინა აკრედიტაციის ჯგუფის მიგნებების მიხედვით, რომელმაც შეაჩერა პროგრამის ფუნქციონირება.

გარდა ამისა, უნივერსიტეტს აქვს სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში დასაქმებული ქართველი და უცხოელი კოლეგებისგან შეფასების მიღების პრაქტიკა პროგრამის გაუმჯობესებისთვის.

პროგრამის ერთ-ერთი მიზნის მისაღწევად, უნივერსიტეტს სჭირდება მეტი კვლევის ჩატარება და თანამშრომლობა პოტენციურ დამსაქმებლებთან, რათა გააუმჯობესოს და მოარგოს პროგრამა ბაზრის მოთხოვნებს.

ამასთან ერთად, ექსპერტთა ჯგუფმა ვერ გამოავლინა როგორ და რა სახით მოხდა პროგრამის გარე შეფასება. არ მოიძებნა დოკუმენტი, რომელიც ამ პროცესს ასახავს. მართალია ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ განხორციელდა პროგრამის შედარებითი შეფასება, ექსპერტთა ჯგუფმა ვერ მიაგნო ამაზე დაყრდნობით განვითარებულ რაიმე კონკრეტულ ნიშანს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- O თვითშეფასების ანგარიში
- O გასაუბრების შედეგები

რეკომენდაციები:

- უსდ-მ ეფექტურად უნდა ითანამშრომლოს პოტენციურ დამსაქმებლებთან, განსაკუთრებით კი კერძო ბიზნესის სექტორში და შესაბამისი სადოქტორო პროგრამების ფარგლებში ჩატარებულ კვლევებთან კავშირში. ეს უპირატესი მნიშვნელობისაა ეფექტური მექანიზმების შესამუშავებლად, რომლებიც დაეხმარება დოქტორანტურის სტუდენტებს/ კურსდამთავრებულებს, დაუკავშირონ სამეცნიერო კვლევის შედეგები რეალურ ბიზნესს.
- პერიოდული გარე შეფასების სისტემის შემუშავება, რაც უზრუნველყოფს ხარისხის მაღალ სტანდარტს, როგორც კვლევის, ასევე დოქტორანტურაზე სწავლების დონეზე.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ შეესაბამება მოთხოვნებს

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის ერთეულის მიერ შემუშავებული დოკუმენტის - „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და მათ ეფექტურობის შეფასება“ - ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა სადოქტორო პროგრამის ეფექტურობის მონიტორინგი და შეფასება. უნივერსიტეტი აკვირდება და აფასებს სასწავლო პროცესს, რათა გაუმჯობესდეს სწავლება/სწავლის და კვლევითი პროცესი, სემესტრების დასასრულს. ასევე, ერთ-ერთი ამოცანაა პროგრამის ნაკლოვანებების გამოვლენა, რეკომენდაციების განსაზღვრა და პრევენციული ზომების დაგეგმვა, რათა მსგავსი უზუსტობები აღმოიფხვრას სამომავლოდ, რაც უზრუნველყოფს პროგრამის შემდგომ გაუმჯობესებასა და განვითარებას. პროგრამის მონიტორინგი და შეფასება ტარდება პროგესორების, სტუდენტების, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებელთა კვლევის საფუძველზე. ყოველი სემესტრის დასასრულს, გამოკითხვებიდან მიღებული ინფორმაციის დამუშავებითა და ანალიზით, შესაძლებელი ხდება, საჭიროების შემთხვევაში, პროგრამის შეცვლა და განახლება. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ექსპერტთა ჯგუფმა ვერ გამოავლინა (რესპოდენტებმა ვერ დაასახელეს) კვლევაზე დაყრდნობით განხორციელებული რაიმე ცვლილება. გარდა ამისა, პროგრამის მონიტორინგის სისტემას აკლია მიმდინარე შეფასებები, რაც პროგრამას უფრო ზუსტად ფუნქციონირების შესაძლებლობას მისცემდა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის სწავლების შეფასების შედეგები. ○ საკლასო ოთახის დაკვირვების შაბლონი; ○ უსდ-ს მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგები; ○ ინტერვიუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან; ○ თვითშეფასების ჯგუფთან ინტერვიუ; ○ პროგრამის კოორდინატორთან ინტერვიუ; ○ გასაუბრება აკადემიურ პერსონალთან; ○ ინტერვიუ დამსაქმებლებთან;
რეკომენდაციები: O მიმდინარე საკონტროლო მექანიზმების შემუშავება პროგრამის ხარისხის ეფექტური მართვისთვის, შესაბამისი სტანდარტების მიხედვით.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: O მონიტორინგის საფუძველზე განხორციელებული ცვლილებების ამსახველი დოკუმენტის შემუშავება.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ შეესაბამება მოთხოვნებს

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთ	მეტწილად შესაბამისობაშია	ნაწილობრივ შესაბამისობაშია	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების		☒		

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება:

ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამა

ანგარიშის გვერდების რაოდენობა: 37

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთა	მეტწილად შესაბამისობაშია	ნაწილობრივ შესაბამისობაშია	არ არის შესაბამისობაში
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა		☒		
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების			☒	
3. სტუდენტთა მიღწევები და მათთან ინდივიდუალური მუშაობა	☒			
4. სასწავლო რესურსებით უზრუნველყოფა	☒			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები		☒		

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე

მ. აბდულ რაუფი,

ხელმოწერა

ვიტენბორგის გამოყენებით მეცნიერებათა უნივერსიტეტი, ნიდერლანდები.

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

პროფესორი თამარ მაღალაშვილი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

ბ-ნი ირაკლი გაბრიაძე (სტუდენტი წევრი) დოქტორანტი, ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო